

ინფორმაცია

ქ. ბათუმში შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ შავი ზღვის აკვატორიაში ხელოვნური კუნძულის მოწყობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შემოსული წერილობითი შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, გამოკვეთილი დასაზუსტებელი საკითხების გათვალისწინებით, სააგენტომ შეაჩერა ადმინისტრაციული წარმოება, მათ შორის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველოს, ასოციაცია „ფლორა და ფაუნას“, „ბათუმის თავისუფლების მოედნის“ წევრების, ურბანისტი გიორგი აბაშიძისა და სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილის წერილობით შენიშვნებთან დაკავშირებით სააგენტომ კომპანიისგან მოითხოვა დეტალური ინფორმაცია/დოკუმენტაციის წარმოდგენა. სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (N21/4016; 19/04/2024) შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია (N6045; 17.06.2024), სადაც შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ განხილული იქნა ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წარმოდგენილი შენიშვნები. დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომი იყო დაინტერესებული საზოგადოებისთვის, განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და განისაზღვრა შენიშვნების და მოსაზრებების წარმოდგენის ვადა.

**დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ასოციაცია „ფლორა და ფაუნა“
წერილობითი შენიშვნები**

№	შენიშვნების და წინადადებების ავტორი	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი
1	<p>ასოციაცია „ფლორა და ფაუნა“ ელ. ფოსტა: associationflorafauna@gmail.com მის: ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის გამზ. №11, ბინა5</p>	<p>არასწორია ინფორმაცია, თითქოსდა #10,11,12,13,14,15 და #16 სადგურები მნიშვნელოვანი მანძილითაა დაცილებული საპროექტო აკვატორიას. აღნიშნული სადგურები განლაგებულია უშუალოდ საპროექტო აკვატორიიდან დაახლოებით 2 კილომეტრის მოცილებით, ანუ ისინი პროექტის გავლენის ზონაშია მოქცეული, ცნობისთვის საკონტროლო სადგურები დგინდება პროექტის გავლენის არეალს მოშორებით, იმ სივრცეში, რომელიც სრულად თავისუფალია პროექტის, როგორც პირდაპირი, ისე ირიბი გავლენისგან, რაც ამ შემთხვევაში მინიმუმ 10 კილომეტრია. საკონტროლო სადგურების მონაცემების გარეშე შეუძლებელია შეფასდეს ცვლილებათა ტრენდი, როგორც</p>	<p>წარმოდგენილ შენიშვნაში მოცემული არგუმენტაცია იმის შესახებ, რომ 2 კმ-ით მოცილებული უბნები შესაძლოა იყოს პროექტის გავლენის ქვეშ, შეიცავს მხოლოდ ვარაუდს, რადგან არ არის მითითებული, თუ რატომ უნდა იყოს საკონტროლო სადგურები გავლენის ზონიდან 10 კმ-ით დაცილებული. არ არის მითითებული შესაბამისი მეთოდოლოგია, არც დინებების და სხვა ჰიდროლოგიური მაჩვენებლების შესახებ რაიმე შეფასების კრიტერიუმი. შესაბამისად, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ, 2024 წლის 17 ივნისის N6045 წერილით (დანართი 15) წარმოდგენილია არგუმენტაცია სადგურების რელევანტურობის შესახებ. ასევე შესაბამისი მონიტორინგის საკითხები.</p>

		<p>მშენებლობის ეტაპზე, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე. წარმოდგენილი კვლევა, რომელიც არ ითვალისწინებს აღნიშნულ კომპონენტის ვერ ჩაითვლება სრულად.</p>	
2	<p>ასოციაცია „ფლორა და ფაუნა“ ელ. ფოსტა: associationflorafauna@gmail.com მის: ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის გამზ. №11, ბინა5</p>	<p>მოსაზრება თითქოსდა ჩატარებული კვლევისას მაკროფიტები არ დაფიქსირებულა, წარმოდგენს მარტივ მანიპულაციას, რადგან საზღვაო კვლევისას მნიშვნელოვანია, როგორც უშუალოდ პროექტის არეალის, ასევე მისი გავლენის არეალის შეფასებაც. გარემოს ეროვნული სააგენტოს კვლევებით პროექტის გავლენის ზონაში (ბათუმის უბე) აღნიშნულია მაკროფიტების არსებობა და მათი მრავალფეროვნება, ასევე პროექტის გავლენის ზონაში არსებულ სანაპიროს დაცვის, ნავსადგურის ლოდებზე ვიზუალურადაც შეიმჩნევა მაკროფიტების არსებობა. ამ მნიშვნელოვანი კომპონენტის იგნორირებით შესრულებული კვლევა შეუძლებელია იყოს რელევანტური.</p>	<p>მშენებლობის არეალში მაკროფიტების არსებობა წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება, რაც შეეხება „ბათუმის უბეში“ არსებულ მაკროფიტებს, მათთვის აღნიშნული აკვატორია არ წარმოადგენს ბუნებრივი გავრცელების არეალს. თუმცა, პორტის აკვატორიაში სხვადასხვა ნაგებობებზე ფიქსირდებოდა დაბინძურების მიმართ ტოლერანტული სახეობები, რაც არ წარმოადგენს რაიმე სახის ბუნებრივ ან ეკოსისტემურ ფასეულობას. მიუხედავად ამისა, დინების გათვალისწინებით შესაძლებელია გაზიარებული იქნას მშენებლობის შესაძლო ზეგავლენა მწვანე კონცხის ქვა-კლდოვანი სანაპიროს მაკროფიტების ბუნებრივ ლოკაციაზე. შესაბამისად, მიზანშეწონილია დამატებით იქნას გაანალიზებული არსებული ინფორმაცია მაკროფიტების შესახებ ასევე სხვა ლოკაციებზე (მაგ. ციხისძირის). აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობად განესაზღვრას შემდგომი მონიტორინგის კვლევებით შეისწავლოს შესაძლო გავლენა აღნიშნულ ეკოსისტემებზე. კერძოდ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობის</p>

			<p>შესაბამისად, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდმა“ მონიტორინგის გეგმაში უნდა ასახოს:</p> <p>„მწვანე კონცხის და ციხისძირის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაკროფიტების არსებობის შესახებ ოთხივე სავეგეტაციო სეზონზე კვლევების ჩატარების საკითხი, კერძოდ, კვლევის დაწყება 2024 წლის შემოდგომა-ზამთარში და გაგრძელება 2025 წლის გაზაფხულ-ზაფხულში. კვლევის შედეგად, მწვანე კონცხისა და ციხისძირის მაკროფიტების ჰაბიტატების ფართობის, მრავალფეროვნებისა და შესაბამისი ეკოლოგიური სტატუსის განსაზღვრა, ხოლო შემდგომ, 3 წლის განმავლობაში ჰაბიტატებზე მშენებლობის სავარაუდო ზეგავლენის შეფასება სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად.“</p>
3	<p>ასოციაცია „ფლორა და ფაუნა“ ელ. ფოსტა: associationflorafauna@gmail.com მის: ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის გამზ. №11, ბინა5</p>	<p>აბსურდულია მოსაზრება თითქოსდა ჟანგბადის ბიოლოგიურ მოთხოვნილების (ჟბმ) კვლევა ასახავს ინფორმაციას ზღვის მიკრობიოტის შესახებ, ჟბმ - ასახავს ინფორმაციას ძირითადად ფიტოპლანქტონის და მიკროზოოპლანქტონის ჟანგბადის ბიოლოგიური მოხმარების შესახებ და მხოლოდ ბევრად ნაკლები მოცულობით მიკრობიოტის შესახებ, თუმცა ეს ინფორმაცია მიკრობიოტის შესახებ არაფრისმთქმელია. ამ მნიშვნელოვანი კომპონენტის იგნორირებით</p>	<p>აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობად განესაზღვრა, რომ უზრუნველყოს მონიტორინგის გეგმის წარმოდგენა სააგენტოში, რომელშიც აისახება:</p> <p>„მშენებლობის დასრულებამდე მიკრობიოტის კვლევის განხორციელების საკითხი სეზონურობის გათვალისწინებით (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი), ხოლო შემდგომი მონიტორინგის 10 წლის განმავლობაში განხორციელების საკითხი სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით“.</p>

		შესრულებული კვლევა შეუძლებელია იყოს რელევანტური.	
4	<p>ასოციაცია „ფლორა და ფაუნა“ ელ. ფოსტა: associationflorafaua@gmail.com მის: ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის გამზ. №11, ბინა5</p>	<p>აღნიშნულია, რომ თითქოსდა „საპროექტო აკვატორია არ გამოირჩევა თევზების საქვირითე ადგილმდებარეობის განსაკუთრებულობით“, თუმცა რის საფუძველზე გაკეთდა. ეს დასკვნა უცნობია, რადგან იქთიოპლანქტინის შეფასების გარეშე მსგავსი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია, თუმცა პროექტის გავლენის ზონაში და მის მიმდებარედ იქთიოპლანქტონი არ შეფასებულა. მცდარია აკვატორიის წარმოჩინება, როგორც იქთიოფაუნის რეპროდუქციულ ღირებულებას მოკლებული ლოკალიტეტის, ასევე მცდარია ყველა ის დასკვნა, რომელიც ამ მცდარი მოსაზრებიდან გამომდინარეობს. ბათუმის უბე, მათ შორის საპროექტო აკვატორია იქთიოფაუნის რიგი წარმომადგენლების ტოფობის მნიშვნელოვანი ლოკალიტეტია (ამის შესახებ არსებობს რამოდენიმე სამეცნიერო პუბლიკაცია). ამ მნიშვნელოვანი კომპონენტის იგნორირებით შესრულებული კვლევა შეუძლებელია იყოს რელევანტური.</p>	<p>პროექტის განხორციელების აკვატორია წარმოადგენს „ბათუმის უბის“ უბანს, მაგრამ ეს სტატუსი მას მინიჭებული აქვს 1976 წლის ლოციით როგორც „ნავთობის უბანი“ და ამ სტატუსს განსხვავებული საზღვაო სატრანსპორტო დატვირთვა აქვს (როგორც სალუზე სადგომი და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მიმდებარე ზონა). აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯელობა იმის თაობაზე, მშენებლობის უბანი წარმოადგენს თევზის ქვირითობისათვის განსაკუთრებულ აკვატორიას, მცდარია, შენიშვნაში არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის კვლევა, რომელიც მიანიშნებს აღნიშნულზე.</p> <p>მიუხედავად აღნიშნულისა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობით განისაღვრა, რომ მონიტორინგის გეგმაში აისახოს: მშენებლობის დასრულებამდე მშენებლობის შესაძლო გავლენის შესწავლის საკითხი იქთიოპლანქტონზე შესაბამისი კვლევების მეშვეობით, ასევე მონიტორინგის განხორციელების საკითხი მშენებლობის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში.</p>
5	<p>ასოციაცია „ფლორა და</p>	<p>ერთის მხრივ აღნიშნულია, რომ კვლევისას ვერ მოხერხდა საქართველოს წითელი</p>	<p>შპს „ამზასადორი ბათუმი აილენდის“ მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად „წითელი ნუსხის“</p>

	<p>ფაუნა“ ელ. ფოსტა: associationflorafauna@gmail.com მის: ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის გამზ. №11, ბინა5</p>	<p>ნუსხის სახეობების მოპოვება, თუმცა მეორე მხრივ გზმ-ს ანგარიშის მიხედვით (პარაგრაფში 5.1.5.3.2. ცხრილი 5.1.5.3.2.1.) მოცემულია, რომ მექვიშია ღორჯო (Neogobius fluviatilis Pallas, 1814) ბინადრობს საპროექტო აკვატორიაში და შესაბამისად საპროექტო აკვატორია წარმოადგენს ამ სახეობისათვის ხელსაყრელ ჰაბიტატს. წარმოდგენილ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ კვლევის შედეგად მექვიშია ღორჯოს მოპოვება და - პალიასტომის ქამაყის ვერ მოხერხდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კვლევა არაა რელევანტური, ან სახეზვა აკვატორიის გარემოსდაცვითი ღირებულების შეგნებულად დაკნინება, რათა გარემოზე ზემოქმედების მასშტაბები და ფორმები მინიმალურად წარმოჩინდეს. საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობების იგნორირების შესრულებული კვლევა შეუძლებელია იყოს რელევანტური.</p>	<p>სახეობები კვლევის არეალში როგორც ანამნეზის (გამოკითხვის), ასევე უშუალო სამეცნიერო კვლევითი ჭერისას არ დაფიქსირებულა. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული სახეობები არ შეიძლება შეგვხვდეს საპროექტო აკვატორიაში, შესაბამისად გათვალისწინებულია ხელოვნური კუნძულის მშენებლობის დაწყებამდე (წინასამშენებლო კვლევა) და შემდგომ მშენებლობის და ექსპლუატაციის ფაზებზე ზღვის ბიოლოგიურ გარემოს მონიტორინგი, ხოლო მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება მექვიშია ღორჯოსთან დაკავშირებით და შედეგების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები.</p>
6	<p>ასოციაცია „ფლორა და ფაუნა“ ელ. ფოსტა: associationflorafauna@gmail.com</p>	<p>აბსურდულია ინფორმაცია, რომ თითქოსდა „ანგარიშში განხილულია შავი ზღვის სანაპირო ზოლში მობინადრე ყველა სახეობა, მათ შორის საერთაშორისო შეთანხმებებით დაცული სახეობები“. სინამდვილეში ამ სახეობების მხოლოდ ნაწილი (არასრულად) უბრალოდ მოტანილია სახეობათა ნუსხეებში,</p>	<p>ანგარიშში მოცემულია შავი ზღვის სანაპირო ზოლში მობინადრე სახეობების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის საერთაშორისო შეთანხმებებით დაცული სახეობების შესახებ. მოცემულ ეტაპზე კომპანიის მიერ წარმოდგენილი კვლევები არცერთ კომპონენტში არ ავლენს რაიმე სახის საერთაშორისო ან ადგილობრივი დაცულობის მქონე სახეობას.</p>

	<p>მის: ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის გამზ. №11, ბინა5</p>	<p>თუმცა იქ ნახსენებიც არაა, რომ ესა და ის კონკრეტული სახეობა საქართველოს მიერ რატიფიცირებული, რომელი საერთაშორისო შეთანხმებებითაა დაცული. არ ხდება მათი პრიორიტეტიზაცია, ცალკე გამოყოფა და განხილვა, როგორც ქვეყნის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციული პრიორიტეტის ანგარიშში საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ნორმატიული აქტების იგნორირება, თითქოსდა საპროექტო არეალში არაფერია გვხდება საერთაშორისო კონვენციების დაცული კრიტიკული შეუსაბამობა.</p>	
7	<p>ასოციაცია „ფლორა და ფაუნა“ ელ. ფოსტა: associationflorafauna@gmail.com მის: ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის გამზ. №11, ბინა5</p>	<p>სრული აბსურდია ერთის მხრივ ამტკიცებდე (ანგარიშში მრავლადაა ნახსენები), რომ საპროექტო აკვატორია ძლიერ დაბინძურებულია და არ გამოირჩევა ზღვის ბიოლოგიური მრავალფეროვნებით, ხოლო მეორე მხრივ იმავე ანგარიშში აღნიშნავდე: მაკროზოობენტოსური თანასაზოგადოების კვლევის შედეგად მიღებული ინდექსების მიხედვით 7 საკვლევ სადგურს მიენიჭა „საუკეთესო“ ეკოლოგიური სტატუსი, 8 სადგურს - „კარგი“ და მხოლოდ ერთ სადგურს (B23) „საშუალო“ (moderate) ეკოლოგიური სტატუსი. ანუ გამოდის, რომ საპროექტო აკვატორიაში სადაც დაფიქსირდა</p>	<p>ისტორიული დაბინძურების მიუხედავად, ბენტოსურმა კვლევებმა აჩვენა ახალი ფსკერისპირა შრის წარმოქმნა მაკროზოობენტოსური თანასაზოგადოების კარგი მონაცემით,. თუმცა, ეს ფაქტი არ გამორიცხავს ისტორიული დაბინძურების არსებობას, რაც უკვე დადგენილია სხვა კვლევებით.</p>

		<p>170-ზე მეტი საზღვაო სახეობა, საკვლევი სადგურების 94% მიენიჭა კარგი და საუკეთესო ეკოლოგიური სტატუსი, ხოლო 6% საშუალო და არცერთს ცუდი - ყოფილა ძლიერ დაბინძურებული და დაბალი ზღვის ბიოლოგიური მრავალფეროვნების აკვატორია.</p>	
8	<p>ასოციაცია „ფლორა და ფაუნა“ ელ. ფოსტა: associationflorafauna@gmail.com მის: ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის გამზ. №11, ბინა5</p>	<p>რეაგირების შესახებ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ: „გზმ-ს ანგარიშშია მოცემული, ხელოვნური კუნძულის მშენებლობის დაწყებამდე, მშენებელი კონტრაქტორის შერჩევის შემდეგ, მომზადდება ფსკერდაღრმავების სამუშაოების მართვის გეგმა და შეთანხმებული იქნება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან“. აღნიშნული საკითხი პროექტის მასშტაბების გათვალისწინებით დიდი რისკების მატარებელია, ბათუმის უბის ბიოცენოზის სენსიტურობიდან და რეგიონის ტურისტულ-რეკრეაციული მნიშვნელობიდან გამომდინარე, პირველ რიგში აუცილებელი იყო წარმოდგენილი ყოფილიყო დეტალური კვლევა/ინფორმაცია აღნიშნული დაბინძურების კერის განფენილობის შესახებ, არაა წარმოდგენილი რუკები და სქემები დაბინძურების კერის/კერების</p>	<p>წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად ფსკერდაღრმავების სამუშაოები ძირითადად შესასრულებელი იქნება ხელოვნური კუნძულის შიდა აკვატორიაში, მდ. კუბასწყალის შესართავის მიმდებარე არეალში და დამცავი მოლების მცირე მონაკვეთებზე. ამოღებული ფსკერული ნალექის (გრუნტის) რაოდენობა იქნება 139126.2 მ³ -ს. ფსკერდაღრმავების სამუშაოების შესრულება დაგეგმილია ე.წ. მიწახაპიას გამოყენებით. ანგარიშში შეფასებულია ფსკერდაღრმავების პროცესში შესალო გარემოზე ზემოქმედების რისკები.</p> <p>ამასთან, შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდს“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობით განესაზღვრა გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს ფსკერდაღრმავების სამუშაოების მართვის გეგმისა და ფსკერდაღრმავების სამუშაოებისას ამოღებული დაბინძურებული ნალექების (გრუნტის) მართვის შესახებ (გრუნტის</p>

		<p>ჰორიზონტალური და ვერტიკალური განაწილების შესახებ, არაა შეფასებული დაბინძურებული გრუნტების ოდენობა და გრუნტებში აკუმულირებული ნავთობის ოდენობა, ფიზიკური და ქიმიური პარამეტრები, არაა წარმოდგენილი სხვა ინფორმაცია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ პროექტის მესვეურთ ზედაპირული წარმოდგენა გააჩნიათ აღნიშნული დაბინძურების შესახებ და არაა აქვთ გათავისებულ მისგან მომდინარე რისკები. ასევე აუცილებელი იყო ფსკერდაღრმავების სამუშაოების მართვის გეგმა ყოფილიყო გზშ-ს ნაწილი, საზოგადოებას, ექსპერტებს ჰქონოდათ შესაძლებლობა ემსჯელათ და განეხილათ იგი. ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის არ გათვალისწინებით მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში არაარელევანტურია.</p>	<p>გაუწყობა, განთავსება და ა.შ) დეტალური ინფორმაციის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;</p>
9	<p>ასოციაცია „ფლორა და ფაუნა“ ელ. ფოსტა: associationflorafauna@gmail.com მის: ბათუმი, შერიფ</p>	<p>წარმოდგენილი ინფორმაცია ეხება ძირითადად პროექტის შიდა აკვატორიას და არა პროექტის გავლენის არეალს - ბათუმის უბეს. პროექტის განხორციელება იგეგმება ბათუმის უბეში, რომელიც, ისევე როგორც ყველა უბე შეზღუდული წყალცვლის უბანია, პროექტი მოახდენს ამ შეზღუდული წყალცვლის უბნის კიდევ უფრო ბლოკირებას</p>	<p>პროექტის განხორციელების აკვატორია მართლაც წარმოდგენს „ბათუმის უბის“ უბანს, მაგრამ ეს სტატუსი მას მინიჭებული აქვს 1976 წლის ლოციით როგორც „ნავთობის უბანი“ და ამ სტატუსს აბსოლუტურად განსხვავებული საზღვაო სატრანსპორტო დატვირთვა აქვს (როგორც საღუზე სადგომი და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მიმდებარე ზონა).</p>

	<p>ხიმშიაშვილის გამზ. №11, ბინა5</p>	<p>და მის სეგმენტირებას, რაც ეუთროფიკაციის პროცესებს გააქტიურებს. ანგარიშში არაა შეფასებული ბათუმის უბის დღევანდელი ეუთროფიკაციის ხარისხი, არაა განხორციელებული ეუთროფიკაციის ეკოლოგიური მოდელირება მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპებზე, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ბათუმის უბის ეკოლოგიური, ტურისტული და ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე. ზღვის გარემოს ამ უმნიშვნელოვანესი კომპონენტი იგნორირებით შესრულებული კვლევა არაა რელევანტური.</p>	<p>ამასთან, აღნიშნული ტერიტორია ღია ზღვის უბნების ანალოგიურია. გზშ-ის ანგარიშით და დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება,</p> <p>ასევე, კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განესაზღვრა პირობა, მონიტორინგის გეგმაში უზრუნველყოს შემდეგი საკითხის ასახვა: კუნძულის შიდა წყლის ხარისხის კვლევის საფუძველზე, შესაბამისი შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებების სააგენტოსთან შეთანხმება.</p>
<p>10</p>	<p>ასოციაცია „ფლორა და ფაუნა“ ელ. ფოსტა: associationflorafau_na@gmail.com მის: ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის გამზ. №11, ბინა5</p>	<p>რეაგირების შესახებ ინფორმაცია სრულად არ პასუხებს ჩვენ შენიშვნაში დასმულ კითხვებს. კიდევ ერთხელ გავმეორდებით: თუ ღია ზღვაში ჰიდროტექნიკური ნაგებობები ასრულებენ რიფების ფუნქციებს (ბიოპოზიტიური კონსტრუქციები), უბებში და შეზღუდული წყალცვლის უბნებში პირიქით ხელს უწყობენ ეუთროფიკაციას, პორტებში წარმოადგენენ გემებზე, მილებზე, მილებში, ტუმბოებში დანაზრდის წარმოქმნის წყაროს. ცნობილია, რომ შავი ზღვის უბეების მეჩხერ (10 მეტრამდე) უბნებში დანაზარდებში ბიომასით დომინირებენ არა ორსაგდულიანი</p>	<p>შენიშვნა შესაძლო სცენარების განვითარებაზე ნაწილობრივ შეიძლება გაზიარებული იქნას, თუმცა, არსებობს აღნიშნული საკითხების გადაწყვეტის არაერთი გზა (შიგა დინებების რეგულირება, გამწმენდი სამუშაოები, ფსკერდაღრმავებითი სამუშაოები და ა.შ) რაც წარმოადგენს ანალოგიური კონსტრუქციების მშენებლობისას ექსპლუატაციის პირობას.</p> <p>ამასთან, გზშ-ის ანგარიშით და დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება.</p>

		<p>მოლუსკები, არამედ წყალმცენარეები. დამცავ მოლებზე წყალმცენარეების მასიური განვითარება კიდევ უფრო გაამწვავებს ეუთროფიკაციის პროცესებს, როგორც ბათუმის უბეში, ისე პროექტის მიდა აკვატორიაში, რასაც ექნება ნეგატიური ეფექტი და არა დადებითი. ასევე ჭარბი დანაზრდის ფორმირება ბათუმის უბეში გააქტიურებს მცურავ საშუალებებზე, მილებზე, მილებში, ტუმბოებში დანაზრდის ფორმირების პროცესს, თანმსდები ნეგატიური გამოვლინებებით.</p>	
--	--	--	--